

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	2
სრული შემოსავლის ანგარიშგება -----	3

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია -----	6
2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა -----	6
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები -----	9
4. ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები -----	10
5. კაპიტალის ცვლილების ანგარიში -----	11
6. ბალანსის შემდგომ მოვლენები -----	11

შპს "სხივი+" საქმიანობის შედეგების ანგარიშგება
საანგარიშგებო წელი 2023

	2023	2022
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	2 450 073	2 094 219
არამატერიალური აქტივები	15 458	17 811
სულ გრძელვადიანი აქტივები	2 465 531	2 112 030
მიმდინარე აქტივები		
სასაქონლო მატერიალური მარაგები	5 761 626	5 036 215
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	520 421	470 561
გადახდილი ავანსები	808 967	573 981
სხვა მოკლევადიანი აქტივი	7 519	25 297
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	2 391 305	1 197 118
სულ მიმდინარე აქტივები	9 489 838	7 303 172
სულ აქტივები	11 955 369	9 415 202
კაპიტალი და ვალდებულებები		
საკუთარი კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება	10 640 339	8 338 529
სულ საკუთარი კაპიტალი	10 640 339	8 338 529
გრძელვადიანი ვალდებულებები		
საბანკო სესხი	613 482	671 147
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	701 548	343 032
საგადასახადო ვალდებულებები	-	62 494
სულ გრძელვადიანი და მოკლევადიანი ვალდებულებები	1 315 030	1 076 673
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	11 955 369	9 415 202

დირექტორი /

/

დათო ბოლქვაძე

მთავარი ბუღალტერი /

/ ეკატერინე კოპალიანი

შპს „სხივი“ ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ციფრები ცხრილში მოცემულია ლარში

შპს სხივი +
ფინანსური ანგარიშგება 31.12.2023 მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

	2023	2022
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	2 450 073	2 094 219
არამატერიალური აქტივები	15 458	17 811
სულ გრძელვადიანი აქტივები	2 465 531	2 112 030
მიმდინარე აქტივები		
სასაქონლო მატერიალური მარაგები	5 761 626	5 036 215
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	520 421	470 561
გადახდილი ავანსები	808 967	573 981
სხვა მოკლევადიანი აქტივი	7 519	25 297
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	2 391 305	1 197 118
სულ მიმდინარე აქტივები	9 489 838	7 303 172
სულ აქტივები	11 955 369	9 415 202
კაპიტალი და ვალდებულებები		
საკუთარი კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება	10 640 339	8 338 529
სულ საკუთარი კაპიტალი	10 640 339	8 338 529
გრძელვადიანი ვალდებულებები	613 482	671 147
საბანკო სესხი		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	701 548	343 032
საგადასახადო ვალდებულებები	-	62 494
სულ გრძელვადიანი და მოკლევადიანი ვალდებულებები	1 315 030	1 076 673
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	11 955 369	9 415 202

დირექტორი /




დათო ბოლქვაძე

მთავარი ბუღალტერი /



მატერინე კოპალიანი

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 საანგარიშო წელი

შპს „სხივი“ ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ციფრები ცხრილში მოცემულია ლარში

	<u>2022</u>	<u>2023</u>
<u>ამონაგები რეალიზაციიდან</u>	<u>8 836 526</u>	<u>8 986 067</u>
<u>სხვა შემოსავალი</u>	-	-
<u>რეალიზებული საქონლის თვითღირებულება</u>	<u>(5 261 387)</u>	<u>(5 245 269)</u>
საერთო მოგება	3 575 139	3 740 798
<u>შრომის ანაზღაურების ხარჯი</u>	<u>(636 797)</u>	<u>(854 932)</u>
<u>ცვეთა და ამორტიზაცია</u>	<u>(18 664)</u>	<u>(21 345)</u>
<u>საპროცენტო ხარჯი</u>	<u>(36 217)</u>	<u>(29 736)</u>
<u>იჯარის ხარჯი</u>	<u>(293 178)</u>	<u>(302 356)</u>
<u>ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი</u>	<u>(136 338)</u>	<u>(219 266)</u>
საოპერაციო მოგება	2 453 945	2 313 163
საპროცენტო შემოსავალი	-	<u>19 274</u>
<u>შემოსავალი/ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან</u>	<u>175 851</u>	<u>(18 892)</u>
<u>სხვა არასაოპერაციო შემოსავალი</u>	<u>3 687</u>	<u>20 662</u>
პერიოდის მოგება	2 633 483	2 334 207
შემოსავალი არასაოპერაციო საქმიანობიდან	-	-
პერიოდის მოგება	2 633 483	2 334 207
<u>გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი</u>	<u>6 246 883</u>	<u>8 338 529</u>
<u>ცვლილება წინა პერიოდის გაუნაწილებელ მოგებაში</u>		<u>(32 397)</u>
<u>ცვლილება გაუნაწილებელი მოგების საწყის ნაშთში</u>		
<u>ცვლილება გაუნაწილებელ მოგებაში</u>	<u>(541 837)</u>	<u>2 334 207</u>
დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება	8 338 529	10 640 339

დირექტორი / / დათო ბოლქვაძე

მთავარი ბუღალტერი / / ეკატერინე კოპალიანი

შპს „სხივი“ ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ციფრები ცხრილში მოცემულია ლარში

შპს "სხივი"
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება
31.12.2023 მდგომარეობით
ციფრები ცხრილში მოცემულია ლარში

	2023	2022
ამონაგები რეალიზაციიდან	8 986 067	8 836 526
სხვა შემოსავალი	-	-
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(5 245 269)	(5 261 387)
საერთო მოგება	3 740 798	3 575 139
შრომის ანაზღაურების ხარჯი	(854 932)	(636 797)
ცვეთა და ამორტიზაცია	(21 345)	(18 664)
საპროცენტო ხარჯი	(29 736)	(36 217)
იჯარის ხარჯი	(302 356)	(293 178)
აღმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(219 266)	(136 338)
საოპერაციო მოგება	2 313 163	2 453 945
საპროცენტო შემოსავალი	19 274	-
შემოსავალი/ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	(18 892)	175 851
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	20 662	3 687
პერიოდის მოგება	2 334 207	2 633 483
შემოსავალი არასაოპერაციო საქმიანობიდან	-	-
პერიოდის მოგება	2 334 207	2 633 483
გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი	8 338 529	6 246 883
ცვლილება წინა პერიოდის გაუნაწილებელ მოგებაში	(32 397)	-
ცვლილება გაუნაწილებელ მოგებაში	-	(541 837)
დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება	10 640 339	8 338 529

დირექტორი



დათო ბოლქვაძე

მთავარი ბუღალტერი

/

/

ეკატერინე კოპალიანი

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სხივი +“ (ს/კ 405081058) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ მოქმედ კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობაა საბითუმო და საცალო ვაჭრობა ავეჯის ფურნიტურის, ალუმინისა და შუშის აქსესუარებით. და სხვა პროდუქციით. კომპანია დაფუძნდა 2015 წელს. დამფუძნებელი, 100% - იანი წილის მფლობელი და დირექტორი, დაფუძნებიდან საანგარიშგებო პერიოდის ბოლომდე არის დათო ბოლქვაძე (61001078356). მარეგისტრირებული ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ქავთარაძის ქუჩა N 25, კორპუსი 1, ბინა N86, ფაქტიური მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ერისთავის ქ N1ა.

2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.1 მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ერთეულ ლარამდე.

2.2 საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის

უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით, რომელიც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების შესრულებას საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობის დროს.

31.12.2023 მდგომარეობით კომპანიის მიმდინარე აქტივები აღემატება

მიმდინარე ვალდებულებებს.

2.3 შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

2.3 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას „კომპანია“ აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ სავალუტო კურსის შესაბამისად. სხვაობების

აღიარება ხდება საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში ნეტო თანხით (მოგება/ზარალი).

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, ყოველი თვის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/ ზარალი საკურსო სხვაობიდან, წმინდა“. 2021 და 2020 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2,7020	2,8844
2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2,6894	2,9753

2.4 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-8 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	6-15 წელი
არამატერიალური აქტივები	3-10 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

2.5 არამატერიალური აქტივები

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება 3-10 წლით.

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენს სააღრიცხვო პროგრამები.

2.6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

2.7 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

2.8 სესხები

სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

2.9 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

საწარმო მარაგის ჩამოწერას ახორციელებს მარაგის საშუალო შეწონილი ღირებულებით.

2.10 შემოსავალი

საწარმო ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

2.11 საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

2.12 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

საწარმომ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს აღიარებს როგორც ხარჯს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

2.13 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის საწარმო განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, საწარმო აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, საწარმო ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საწარმო ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამოძწევი გარემოებები, ან შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, საწარმო აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

4. ძირითადი საშუალებები

შპს „სხივი“ ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ციფრები ცხრილში მოცემულია ლარში

ძირითადი საშუალებები 2022,2023 წლების 31 დეკემბრისა მდგომარეობით
წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	კომპიუტერები	ავჯი და სხვა ინვენტარი	ავტო- ტრანსპორტი	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2021	15 863	48 246	27 785	889 055	375 713
შესყიდვა 2022	4 975	5 141			746 302
ცვეთა 2022	5 497	10 337	3 027		
დაგროვილი ცვეთა 31.12.2022	15 416	61 042	30 812		
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2022	15 341	43 050	24 758	889 055	1 122 015
შესყიდვა 2023	5 617	28 476			346 370
ცვეთა 2023	4 573	17 868	2 166		
დაგროვილი ცვეთა 2023	11 989	78 910	32 978		
წმინდა საბალანსო ღირებულება 2023	16 385	53 657	22 592	889 055	1 468 385

5. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები 2022 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით
წარმოდგენილია შემდეგნაირად:

პროგრამული უზრუნველყოფა	
წმინდა საბალანსო ღირებულება 2022	17 811
შესყიდვა 2023	0
ამორტიზაცია 2023	2 353
წმინდა საბალანსო ღირებულება 2023	15 458

6 კაპიტალის ცვლილება

<i>გაუნაწილებელი მოგების ნაშთი 31.12.2022</i>	8 338 529
პერიოდის მოგება 2023 წ	2 334 207
წინა პერიოდის შეცდომების გასწორება	(32 397)
დაგროვილი მოგება 31.12.2023	10 640 339

შპს „სხივი“ ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ციფრები ცხრილში მოცემულია ლარში

7. ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ბალანსის შემდგომ ისეთ მოვლენებს, რომელთა განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნება აუცილებელია.